



მეფემსი

მწევრმან კეილმან სულო
თვისი დასდვის ცხოვართათის.
იოან. 10—11.

№ 6

1883—1907 წ.

30 მარტი

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიბარბურო ბანუოვილია: ვინ აგებს პასუხს ჩვენ მწევრსა და სამწესოთა საქმის არე-დარევაში? სოფლის ხუცესის.— იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების მოქმედების შესახებ, დამსწრისი.— სახალხო უნივერსიტეტი ევროპასა და ამერიკაში, (ლექცია ვ. ჩერქეზიშვილისა).— დავით კეხელი.— ახალი ამბები და შენიშვნები.— შეწირულება.— ჟურნალ-გაზეთთაგან.

სწავლა და მცენიარება შინსიანობრივ სარწმუნოებასა და კითხლ-წმობაზე: ჯვარცმა ქრისტესი, ი. ბალუევის.— მკვლარ-კოცხალი. (მოთხრობა გრაფი მ. ტოლსტოისა).

ვინ ამბავს პასუხს ჩვენ მწევრსა და სამწესო-თა საქმის არე-დარევაში?

წარსულ წელში შეიკრიბნენ ეპისკოპოსები და მათთან, ვითომ დელეგატები (ასე უწოდებდენ თავის თავს) თფილისში და მსჯელობა ჰქონდათ ვითომ ბოიკოტის ახსნაზე. ამ კრებას არ დასწრებია არც ერთი არჩეული პირი იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენელთაგან. დიდის რიხით და რასა-რუხით მოხსნეს ვითომ მაგარი ბოიკოტი, როცა ზოგიერთი სამღვდლო პირები ამ ბოიკოტით სარგებლობდენ და თავის საქმეს მშვენიერად იკეთებდენ იმისაგან ვისაც ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული. როცა ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენი სამღვდლოებისათვის აღვნიშნეთ და დელეგატების რწმენის წერილებზე ეჭვი განვაკლადეთ დიდის რიხით გვიამბეს, რომ კრებამ ბოიკოტის ახსნას გარდა შესაძინევი პროექტი წარუდგინა ექსპარსოსს, რომელმანაც სინოდს წარუდგინა, რადგან ჩემს კომპენტენტისას აღმატებოა. თუ სინოდმა დაამტკიცა ჩვენი შედგენილი გეგმა საბლანოჩინო საბჭოს დაარსების და ეკლესიის კრებულის წევრების სამრევლოთაგან აღრჩევის შესახებო მაშინ გავკეთდებით და ხელის ბანის მეტი შრომა აღარ დავკვირდებო— ისე ყოველივე უზრუნველი გვექმნებოა!.. დიდი ხნის ნატერა წარსული წლის

493

თფილისში შეკრებილი „დელეგატებისა“ უკვე აღუსრულებია სინოდს და მრევლისათვის მიუნიჭებია საექსპარსოოში სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთა კანდიდატების აღრჩევა. სინოდის კანტორას კიდევ დაუმზადებია ქალაქები ეპისკოპოსებზე, რომ სამღვდლო და საპარჩეტნიკო კანდიდატები უნდა დასახელოს მრევლმო. თუ გეროვანი კანდიდატები არ დასახელებს მღვდელთმთავარი მოითხოვს, რომ სხვა უმჯობესი კანდიდატები დასახელონ. თუ სამი თვის განმავლობაში სხვა კანდიდატს არ წარუდგენენ მაშინ მღვდელთმთავარს აქვს უფლება თითონ აურჩოს სამრევლო კანდიდატი, აკურთხოვს იგი და გაგზავნოს მრევლში.. რასაკვირველია, აღრჩევა მრევლთაგან იქ მოხდება სადაც ადგილი დაიცლება, თორემ დღეს ვინც მსახურებს მათზე ეს კანონი არ გავრცელდება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ „დელეგატთა“ მოუფიქრებელ წარდგენილ გეგმას არ დაამტკიცებდნ სინოდი, რომ იგი დარწმუნებულად ყოფილიყო ამ რეფორმით ჩვენი ეკლესია აღვეყვებო და წინ გავასწრებთ რუსეთის სამღვდლოებას. რაც უნდა კარგი კანონები გამოიცეს რუსეთში ვლადიკავკაზის მთებს აქეთ ვერ გამოსცილდება. ამ ახალ კანონებს უნდა ჩამოაქრან რაც რამ კარგი აქვს და ჩვენში მოვა მარტო დამახინჯებულნი. მაგრამ ჩვენ „დელეგატთა“ პატივის ცემის ნიშნად წარდგინება

მთლად სავსებით არის შეწყნარებული და მიღებული.

„დღევანდელთა“ დადგენილებას აკლია ორი რამ, რომელიც მთლად უკარგავს მნიშვნელობას სამღვდელთა და საპრიეტნიკო კანდიდატების აღრჩევის საქმეს მრევლთაგან. არის თუ არა ცხადად გარდაწყვეტილი საზრდო სამღვდლოებისა დღეს მრევლთაგან? იძლევიან გარდაწყვეტილ სარჩოს ეკლესიის კრებულისათვის მრევლნი? აქვს თუ არა ბინა ეკლესიებთან კრებულს? განმარტებულია თუ არა გარდაწყვეტილი თუ ვინ უნდა იყოს სამღვდლო და სპრიეტნიკო კანდიდატები? თუ სამრევლოების სურვილზეა დამოკიდებული მღვდლის სარჩო და საღვამო ისე როგორც დღემდის? სანამ ეს ორი კითხვა საყოველთაოდ არ იქნება გარდაწყვეტილი მართლმადიდებლის მრევლთაგან ეკლესიის კრებულის წევრთა კანდიდატების აღრჩევა სამრევლოთა და სარწმუნოების სასარგებლოდ კი არ იქნება, არამედ მათ სახეგზოდ და ეკლესიის საქმეების ასარევად...

ფ-დ საინტერესოა ჩვენთვის ვიცოდეთ თუ რა გადაწყვიტა თფილისის კრების „დღევანდელთა“ სამღვდლო კანდიდატების შესახებ? ვინ ითვლება სამღვდლო კანდიდატად? ამასთან კრებულის რჩენის კითხვა როგორ არის დაყენებული? თუ ეს ორი უმთავრესი კითხვა სრულყოფით გამოტოვდა კრებამ და მხოლოდ მრევლთაგან ეკლესიის კრებულის წევრთა აღრჩევა იქმარა ეკლესიის საქმეების წასამართლებად?

თუ ეს ორი კითხვის შესახებ ამ „დღევანდელთა“ კრებას არა უთქვამს-რა იმ შემთხვევაში ჩვენი ეკლესიის საქმე უარეს განსაცდელში ჩაუგდიათ და თავის საქციელით მთელს საზოგადოებას ცხადათ დაუმტკიცებენ, რომ საქმის გაკეთების მაგიერ დიდწინააღმდეგობა მიიყენეს და ეკლესიის საქმე უარესად განსაცდელში ჩაავდეს.

არაფინ იფიქროს კი, რომ ვითომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ მღვდელთა და მეღვთისმეტყველების მრევლთაგან აღრჩევისა, სრულებით არა, აღრჩევითი წესი სასულიერო თანამდებობის პირთა აუცილებელია და ეკლესია მიტოვებულა იწოდება კათოლიკედ. სული წმიდის მადლის გადაცემა ერთი მეორიდან შეიძლება, ეკლესიის სწავლისამებრ, აღრჩევითი საშუალებით და არა მიწვევით და კაცის ბრძანებით. მაგრამ ჩვენ ვიმეორებთ ელვანდელ დროში, როცა ერთი კაცის ბრძანებით ხდება აღრჩევა. საქმიითაც ხომ დამტკიცდა, რომ საზოგადოებამ ვერ გაიყენა კენ-

ქის კრით სასურველი პირები. დღევანდელი დრო მტის-მეტად საფრთხილოა. ერთმა ვაჭარმა შეუქმნა უბრძანოს მთელს მრევლს, რომ აირჩიონ ის პირი, რომელიც მრევლს არა სურს. თუ სასულიერო მთავრობა არ დათანხმდა აღრჩეულ კანდიდატის მიღებაზე მაშინ მღვდელთმთავარმა თავისი აღრჩეული უნდა აკურთხოს და გაუგზავნოს მრევლს. ახალ-საკურთხის მღვდელი გაზედავს მრევლის ნება-დაურთველად შევიდეს სამრევლოში? ვერ გაზედავს. რატომ? მიტომ, რომ მრევლს თავისი არჩეული უნდა. ღირსია თუ ირა ამას არ დაეცემს იგი ..

კიდევ განვიფიქროთ, პირველად უნდა იყოს გარდაწყვეტილი მღვდლის სარჩო საყოველთაოდ, შემდეგ უნდა იყოს გარდაწყვეტილი და წინადაცე დასახელებული სამღვდლო და საპრიეტნიკო კანდიდატები. თუ ეს ორი კითხვა იქნა გარდაწყვეტილი მაშინ კანდიდატების დასახელება მრევლთაგანის საადვილო იქმნება და არავითარ უსიამოვნებას არ გამოიწვევს.

სოფლის ხუცესა.



იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების შეხვედრის შედეგები

დღიდან სამღვდლოების კრებების დაარსებისა ამ კრებათა მოქმედება ჩვენთვის ფრიად საინტერესო საგნად მიგვაჩნდა და არ გავიწყობია არც ერთი კრება, არა თუ მართო იმერეთის სამღვდლოებისა, არამედ თუ სხვა ზოგიერთი ეპარქიათა, რომ კრების მოქმედებას არ შეეხებოდეთ, არ გვექოს სამღვდლოების წარმომადგენელთა საქმეები საქციელი და არ გვემხილებიოს საძრახი მსჯელობა... სამღვდლოების კრებები დაარსებულია 1867 წლიდან. დღეს ორმოცი წელიწადი შესრულდა რაც ეს კრებები არსებობს. ამ კრებათა ღვაწლი მტისმეტად შესაძინევა განსაკუთრებით სასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. კრების დამაარსებელი და სულის ჩამდგმელად უთუოდ უნდა ითვლებოდეს კ. პ. პობედონოსევი. ბევრი მტრები აღმოუჩნდა და დღესაც მტრობენ ამ კრებათა უმეტესად ეპარქიის მღვდ-

ლთ-მთავრები, რადგან იგინი (მღვდელთ-მთავრები) კრებების მოქმედებაში ხელეწი თავის უფლების დამოკირებას და სამღვდლოების უფლების ამ-ღ-ღებას. მაგრამ ავიწყდება მით, რომ ისე ოსტა-ტურად და მოხერხებით არის შედგენილი სამღვ-დლოების კრებათა კანონები და წეს წყობილებანი, რომ ერთი სიტყვა მღვდელთ-მთავრისა: „ჯრ მისუნს ასე“ დიდის მოუქრებით და ჰაჰან-წყვეტით სამღვ-დლოებისაგან შედგენილს ჟურნალს არაფრად აქცევს. ძირითადი კანონების და სხვა-და-სხვა დროის გამოცემულნი სინოდის განმარტებანი ისე შემო-ფარგულდია, რომ სამღვდლოებას არ შეუძლია გადასცლიდ და მსჯელობა იტონიოს ისეთ საგნებზე, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანდა საზოგადო საქმეს. თავი და თავი საგანი სამღვდლოების კრე-ბათა არის სასწავლებლის შესანახავად ფულების წყაროების აღმოჩენა, სალიდანაც გინდა ფულები მოგვედით. რაიცა შეეხება მას, თუ რას და როგორ გასწავლით, ან ვინ არის მასწავლებლები, შეუძლია თუ არა მას სწავლება? ამაზე კრიტიკს დამტრა არ შეუძლია სამღვდლოებას. ამისათვისაც არის, რომ სასწავლებლების შენობები ძველი დროის სასწავ-ლებლების მღვდლოებობასთან შედარებით ბევრად გაუშუაობესდა. მაგრამ ორმოცი წლის განმავლობაში არსებული პროგრამები კი უცვლელად არიან მოქ-მედებაში. ეს პროგრამა დაძველდა, სუნიც აუღინ-და, მაგრამ მარილს აყრიან, რომ არ აყროლდეს და გამოცვლას კი ვერ ახერხებენ. ერთმა დეკაბრისტმა სთქვა: რვა წელიწადი ბორკილებში გვეტინაო და როცა რვა წლის შემდეგ, მოწყალემა მოიღეს, და მოგვაცილეს ტანიდან ეს ბორკილები რაღაცა გვე-ჩოთიერებოდა და ღამე, პირველ ხანებში, ძილი არ მოგვიდოდა—ისე შევეჩვიეთო!..

თუ კაცი ხელ-ხუნდს და ბორკილებს ასე მიე-ჩეია რვა წელიწადში, რომ ძილი არ მოუვიდა უბორკილოთ, როცა იგი შესხნს, როგორ მოიშო-რებენ და როგორ გამოიკვლიან ორმოცი წლის არსებულ პროგრამას სასწავლებლის მთავრობა და მასწავლებელი! დიად, ბევრს იძახიან, რომ სწავლე-ბის პროგრამმა შეიცვლებაო, მაგრამ დღეს კიდევ შეცვლილი არაფერია. ამას წინეთ შეიქმნა ბევრი ლაპარაკი და წერა მკვდარი ენების მოსპობის სწავ-ლების შესახებ, მაგრამ შესამჩნევი ცვლილება არა მომხდარა-რა.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ სამღვდლოების კრე-ბები თან-და-თან განვითარდება და ოცი წლის შემ-დეგ კრების კანონები ისე ვცვლად და სავსებით იქმნებთან შეუთისებული სამღვდლოებისაგან, რომ ყოველი დებუტატი ორმოცი წლის პრაქტიკით მეტის-მეტად შეგნებული იქმნება და კრებათა მსჯე-ლობა, ამა თუ იმ საგანზე, კანონიერი შეგნებული და საფუძვლიანი იქნება მეთქი, მაგრამ ძლიერ მოკ-სტყუვდით. სამღვდლოების დებუტატები ზოგიერთ შემთხვევაში წინეთ უფრო რიგიანად მსჯელობდენ ვინემ დღეს, წინეთ უფრო ხალისით ეკიდებოდენ თავის საქმეს ვინემ დღეს. ორმოცი და ექვს დებუ-ტატებში ძლიერ გამოცხადდა ოცდა თოთხმეტი დე-პუტატი. უკანასკნელ კრებაზე..

ესლა შეუდგეთ მკითხველო, იმერეთის ეპარ-ქიის სამღვდლოების კრების მოქმედების განხილვის, თუ რა შესამჩნევი გამოკრახობა გამოიჩინა დებუ-ტატების კრებამ და როგორ მშვენიერად და ყო-ველის მხრით მოუქრებული შედგენილი ჟურნა-ლებით გასცა პასუხი მღვდელთ-მთავრისაგან მოცემულ წინადადებათა. სამღვდლოების კრება იყო დანიშნული წასრულის თებერვლის 27 რიც-ხეს. პირველ დღეს საქაო რიცხვი დებუტატებისა ვერ შეიკრიბა, მაგრამ თავსმჯდომარე მაინც აირჩიეს. ერთხმად ისურვეს თავსმჯდომარედ წინეთ ყოფილი თავსმჯდომარე იუსტიკე ფანცხავა, მაგრამ არ დამტკიცდა იგი, ვინაიდან კანონიერ რიცხეს სამღვდლოების დებუტატებისა აკლდა ორი დებუტატი. 28 თებერვალს მოგმატა ორიოდ რიც-ხვი დებუტატებისა და როგორც იქნა თავსმჯდო-მარე შეირჩეა კანონიერ აღრჩეულად. საქმის მწარმოებლებად აირჩიეს მღვდელი ვ. მესხი.

დევანსზაზა ჯაგათ დამაშაქქმ კანცხსადა. ჩვენი კრების საქმე მეტისმეტად გრძელდება ხოლმე მით, რომ თავთავის დროზე ჟურნალები არ იწერება. ამისათვის ერთჯერ გადაწყვეტილი ჟურნალი შემ-დეგ კიდევ ორ სამ გზის განიჩრება და სულ სხვა-ნაირად გარდაწყდება ხოლმე. ამით დრო ეყარება დებუტატებს და რამდენიმე ჟურნალის შესადგენდ დებუტატები თითო კვირაობით რჩება ქუთაისში, როდესაც ამ ჟურნალების შესადგენდ სულ საჭი-რო არის ორი დღე. ბოლოს დადლიონი დებუ-ტატი უნებურად აწერენ ხელს როგორი გარდაწყ-ვეტილებაც უნდა იყოს, ან მოთმინების დამკარ-



გველნი კრებას და მის ჟურნალებსაც მიატოვებენ და შინ მივბრუნდებით. ამასკარდა ხდება ხშირად მეორე უკანონობა. რადგან ჟურნალები და კრების გარდაწყვეტილება თავის დროზე არ დგება თავსმჯდომარე ერთს დღეს და ღამეს ჟურნალების შესადგენად ხმარობს. მოხდება ხოლმე, რომ სხვა გარეშე პირებსაც მოაწვევს დასახმარებლად ჟურნალების შედგენისათვის. ეს გარეშე პირები თავის დახმარებით ისე გადააკეთებენ კრების დადგენილებას, რომ ბოლოს სრულებით აღარ გავს კრებისაგან გარდაწყვეტილს. მოხდება ხოლმე, სამწუხაროდ, ისიც, რომ ჟურნალი სდგება თავის განჩინებით, როცა დეპუტატებს ამ ჟურნალის შესახებ შესჯერდება სრულებით არ ჰქონიათ. მაგრამ ხელი მოაწერეს შეუშინებლად როცა სტოლზე გაწყობულ ჟურნალს ნაჩქარევად ხელს აწერდნენ. ჩემის აზრით, სთქვა დეკ. დამბაშიძემ, საქირა რომ ორი მარჯვე პირი იყოს აჩუქული საქმის მწარმოებლად და ჟურნალები თავთავის დროზე დგინდებოდეს და ერთგვარ გადაწყვეტილი აზრი აღარ იშლებოდეს, მასთან ჟურნალები შეუფერებლად არ იწერებოდეს.“ სამღვდლოების კრებამ მიიღო ეს განცხადება და აარჩია საქმის მწარმოებლად შ. ს. დევოძე და ვ. მესხი.

სამღვდლოებისაგან კარგა დიდი ფული ითხოვებოდა ვაჭების ოთხ-კლასიანი და ეპარქიალური სასწავლებლების შესანახავად. სამღვდლოების დეპუტატებმა გარდასწყვიტეს, რომ სანთლის ფასს გირვანქას მოუმატოს ერთი აბაზი. სანთელი წელიწადში იყიდება 750 ფუთამდე. წელიწადში ეს ზედმეტი ფული შეადგენს ექვსი ათას ოთხმოც მანეთს. სანთლის ქარხნის მთელი შემოსავალი, რომ სასწავლებლის შესანახავად იხარჯებოდეს მაშინ სანთლის ქარხნიდან სამი ათასი მანეთი კიდევ შეიძლებოდა სასწავლებლისათვის გადადებულყოფი, მაგრამ სანთლის ქარხნის შემოსავალი რაღაცა უთავბოლოდ იხარჯება ჩვენში...

გრძელი ბაასი გამოიწვია ტფილისის სემინარიის პარალელურ განყოფილებათა შესანახავი ხარჯის მოთხოვნამ. წინეთ სანამ ქუთაისის სემინარია გაიხსნებოდა ჩვენი ადგილობრივი საეკლესიო ხაზინის ფულებით იფარებოდა ეს ხარჯები და სემინარიის პანსიონშიაც ამ ეკლესიის ხარჯით იზრდებოდნენ ღარიბი მოსწავლეები. კრებამ ბევრი

იბაასა იმის შესახებ, რომ სასწავლებლის და სემინარიის ყველა ნორმალური კლასები უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ხაზინიდან და არა სამღვდლოების ადგილობრივი შემოსავლიდან. სინოდი დიდ მოწყალეზად რაცხს იმას, რომ ჩვენი საეკლესიო მამულების შემოსავალს გვახარჯებს სემინარიასა და სასწავლებლებზე და ამავე ფულებით ინახავს სხვადასხვა მმართველობის დაწესებულებათა როგორც, მაგალითად, კათედრის ტაძრებს ების, კოპოსების სასახლეს და მათ კანცელარიებს. სამღვდლოების კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, რომ სემინარიის ძირითადი კლასები შეინახოს სახელმწიფო ხაზინით და ამ კლასებში მიიღოს მხოლოდ ქართველთა სამღვდლოების შვილები და არა უცხო ტომის ხალხის შვილები. წინააღმდეგ შემთხვევაში განათავისუფლოს ჩვენი ადგილობრივი საეკლესიო შემოსავალი სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯებისაგან და ჩვენ შევიწინააღმდეგეთ სასწავლებლებსო. თუ ჩვენზე უნდა ნიადაგ სრულდებოდეს არაკი: ძალა აღმართს ისევე, მაშინ სემინარიის პარალელური კლასები სხვა შეინახონ როგორც ინახებულა წინეთ იმ დრომდის სანამდის ცკლილება მოხდებოდეს ჩვენი შვილების აღზრდა — განათლებისა საქმეში.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ გარდასცა სამღვდლოების კრებას ოტონოშენი, რომელითაც უცხადებდა დეპუტატებს, რომ ქუთაისის სემინარიის ეკლესიის ხის მასალა და რკინეულობა გადმოგვეცა ჩვენ სასწავლებლის ეკლესიის აღსაშენებლად, მაგრამ ეკლესია დღეს ახალი აღარ არის საქირა რადგან შაგირდების რიცხვი პარალელური კლასების დახურვით ძლიერ შემცირდაო. ამ მასალით ძირა ოთახები სასწავლებლისა გავსილია და თუ დიდ ხანს დარჩა დაღვებაო. ამისათვის სამღვდლოებას შეუძლია გაყიდოს და მოიხმაროსო. ამ კითხვამ დიდი ბაასი გამოიწვია და ბოლოს კრებამ გარდასწყვიტა ამ მასილის გაყიდვა.

როგორც კი მასალის გასყიდვა გარდაწყვედა მაშინვე შემოვიდა თხოვნები სასწავლებელთაგან, რომელნიც თხოვილობდნენ ერთი მესამედი ჯამაგირის ჩუქებას ერთ დროებითად და სხვანი ერთი წლის ჯამაგირის ჩუქებას, რადგან დაუადამყოფდნენ და საქმიოდ სჭირდებოდათ. ამასთან ვიღაცა ქვრივებმა ითხოვეს კიდევ მოწყალეზებით შემწეობა, სამღვდლოების

კრება, რომელსაც თავისუფალი ფული არა ჰქონდა მოწყობის გასაცემად თითქმის ყველა მთხოველეს გარდაუწყვეტა საჩუქრად მასლის შემოსული ფულიდან. ეყოფოდა თუ არა ყველას ეს შემოსული ფულები ამის დარდი არავის აწუხებდა...

(ტაგრძელება იქნება).

დამსწრე.

სახალხო უნივერსიტეტში მსოფსას და ამერიკაში.

(ლექცია ვ. ჩერქეზიშვილის).

ბ. ვ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა ლექცია ზუბალაშვილის შენობაში სახალხო უნივერსიტეტების შესახებ, რომლითაც საზოგადოება მეტის-მეტად დასაინტერესოვნი დაარჩა. მოგეყვას ამ ლექციიდან რამდენიმე ადგილი „ისარი“-ს ზაზუთიდან.

ამე 70 წლების დასაწყისში ახალგაზდა მეცნიერთა შორის დაიბადა აზრი ფედერატიულს ნიადაგზე თავი მოეყარათ სახალხო განმანათლებელ დაწესებულებათათვის. ამისათვის დააარსეს შემაერთებელი ბიურო, რომელმაც იკისრა სისტემატიურად ლექციებისა და ხალხის განსავითარებელ კურსების წარმოება. უმთავრესად ლექციებს კითხულობდნენ ჰიგიენისა და ფიზიოლოგიის შესახებ; ხალხის მოთხოვნილებით შემდეგ სხვა საგნების შესახებაც შეუდგნენ კითხვას.

სახალხო უნივერსიტეტები მალე სხვა განათლებულ ქვეყნებშიაც გაჩნდნენ: საფრანგეთსა, ჰოლანდიასა, გერმანიასა და სხვაგან. ლექციების გათავების შემდეგ მოსწავლეთ გამოსცდიდნენ ხოლმე. მშრომელ ხალხისათვის უფრო ნაყოფიერი გამოდგა კამათი, რომელიც ლექციების შემდეგ იმართებოდა. რათა კითხვების მიცემა და განმარტების მოთხოვნა არ გასკირებოდათ მსმენლთ, ლექციის დაწყებამდე ხალხს ურიგებდნენ წინაღვე შედგენილ პროგრამას და ლექციის შემდეგ იმართებოდა კამათი, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ხალხი.

კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა გამოიკვლიეს: თუ რამდენი ლექ-

ცია საჭირო ამა თუ იმ საგნის შესასწავლად. პროფესორებმა გამოცდაც დაუწყეს მსმენელთ. 3000 კაცამდე ატესტატი მიიღო. მაგრამ მეშენი სწავლის ეტანებოდნენ, არა იმიტომ რომ მოწონება-ატესტატები მიეღოთ, მთავარი მათი მისწავლება გონების გამოფხიზლება და გამდიდრება იყო. რომ ხალხი სახალხო უნივერსიტეტში ატესტატების მიღებით არ იყო გატაცებული, ამას ამტკიცებს ის, რომ ამ ბოლო დროს 45,000 კაციდან მხოლოდ 800 კაცმა მიიღო მოწონება.

მრავალი ფაქტია იმის დასამტკიცებელი, თუ რა ნაყოფი მოიტანეს სახალხო უნივერსიტეტებმა ინგლისში. მოვიყვან ერთს გასაოცებელ მაგალითს. ამ ორი წლის წინად ლონდონში გამოვიდა სამკაპეციანი წიგნი. წიგნაკის პატრონი წინად ექიმთან ხელზე მოსამსახურედ იყო. იგი სწერდა, როგორ ვახდა სოფლის მეურნედ და რა შემოსავალს იძლეოდა დესტენის ერთი მეოთხედი, რომელიც იჯარით ადლო. ამ კაცს, როგორც ქალაქში მცხოვრებს, წარმოადგენა არც კი ჰქონია მიწის მუშაობაზე. სახალხო უნივერსიტეტის გათავების შემდეგ შეუძენია ერთი წიგნი მეურნეობის შესახებ, თეორიულად შეუსწავლია მიწის მუშაობა და შემდეგ თავისს დაკვირვებით ისე კარგად დაუშუშავებია დესტენის ერთი მეოთხედი ანუ 600 ოთხკუთხი საყენი, რომ წელიწადში იგი იღებდა 500 მანეთამდე. სთესდა კართოფილს; კომპოსტოს და სხვა ამკნარეს.

ამერიკაში სულ 484 უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებელია. ხშირად პატარა უნივერსიტეტები არსდება. ასეთ უნივერსიტეტში პირველ ხანს 30 სტუდენტისა და 12 პროფესორის მქონე არც კი არის ხოლმე, მაგრამ თან და თან უნივერსიტეტი იზრდება. სკოლებს იქ საზოგადოება ინახავს. სადაც ქალაქი ან დაბა შენდება, უსათუოდ სტოვებენ მოზრდილ ადგილს სკოლისათვის. შემდეგ ადვილს ნაჭკებელ ჰყიდიან ან იჯარით აძლევენ და ამით მიუძღვებიან პროცენტს სკოლებს. მიუარნილ და მიყრუებულ პროცენტებშიაც დიდძალი სკოლებია მოწყობილი, ასე რომ ამდენ სასწავლებლებთან თითქმის საჭირო არც-კი უნდა იყოს სახალხო უნივერსიტეტი. მაგრამ ხალხი მარტო სკოლებს არა სჯერდება. იქ სხვა ნაირად ეწყობა სახალხო უნივერსიტეტების



საქმე. ყოველ წლობით ახალგაზდა მეცნიერი ათასობით მოგზაურობენ ქალაქიდან ქალაქში, და მიდიან დაბაში და ჰკითხულობენ ლექციებს. მშრომელი ხალხი ზაფხულში სხვა და სხვა საქმეზე მუშაობს სოფლად და ოქტომბრიდან ქალაქებში მიდიან და სახალხო უნივერსიტეტსა და პროფესიონალურ სკოლებში დაიარებიან. კერძო ინიციატივამ სახალხო განათლების საქმე ამერიკაში უმაღლეს ხარისხამდე მიიყვანა, ასე რომ მარტო სამკითხველოები ამ წამად 60,000-ზე მეტია. ბიბლიოთეკები იმდენად ხელ-მისაწვდომია ხალხისთვის, რომ ხშირად გამგენი სწერენ მკითხველებს: შემოგვითვათ, რომელი წიგნი გნებავთ წასაკითხავად და, თუ ვერ მოიხდით და ვერ მოხვალთ წიგნის წასაღებად, ჩვენ გამოგიგზავნით. საჩლშიო. ყველა ამან ისე დააწინაურა ამერიკა, რომ რაღაც სამოც თუ ორმოც წლის განმავლობაში ამ ქვეყანას კულტურულს ცხოვრებით, სიმდიდრით და ხალხის საზოგადო ბედნიერებით მთელს ქვეყნიერებაზე პირველი ადგილი უჭირავს. მართალია, ამერიკაში კერძო აღმოჩენანი მეცნიერებასა და ტექნიკაში ისე არ არის განვითარებული, როგორც, მაგალითად, გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში, მაგრამ ამ ქვეყნების მეცნიერთა აღმოჩენა-გამოკვლევანი ამერიკელებმა ყველაზე უკედ გამოიყენეს. რუსეთს გამოჩენილი მწერლები ჰყავდა—პუშკინი, ლერმონტოვი, ტურგენიევი, მუშათა ლეიძი შვილი შეიჭნეკო, მაგრამ სულ სხვა საკითხია, როგორ გამოიყენა ხალხმა მათი ნაწერები. პუშკინისა ლერმონტოვის დროს ხალხი მონობასა და სატანჯველში იყო; ტურგენიევის დროს სიბნელეში. რუსეთი მაშინ იქნება ბედნიერი, რომ საზოგადო შეგნება და განვითარება ისეთივე იქნება, როგორც ამერიკელთა ფერმელებში.

ინგლისის გაღვინთ, სახალხო უნივერსიტეტების მოწყობის საქმე გადავიდა ავსტრო-ჰუნგრეთსა, გერმანიასა, საფრანგეთსა და სხვა ადგილებში. უფრო ცოცხლად და ნაყოფიერად ეს საქმე საფრანგეთში მოეწყო. სახალხო წიგნების გამოცემის საქმე საფრანგეთში სამაგალითოდ მოეწყო. უდიდესი ნაწარმოებიც-კი საფრანგეთში პაწაწარეულებად გამოსცეს. მუშები შაბათობით ასეთ რვეულს ვაჭარის ფსად იძენდნენ, ასე რომ ამდენისამე ხნის შემდეგ მთელი ტომები ჰქონდათ

შეძენილი. მე დავათვალიერე ბინა ერთის მხატვრისა (მალიარი) რომელსაც ძვირფასი ბიბლიოთეკა ჰქონდა. იგი შევიძინა რამდენისამე წლის განმავლობაში. პარიეში თავიანთ შრომით მოაწყეს სახალხო უნივერსიტეტების სადგომები, სამკითხველო ბიბლიოთეკები და სხვა. ერთი ასეთი სახალხო სახლი მეც დავათვალიერე და გავვაცდი, როცა გამოვიკითხე, თუ როგორ მოეწყოთ თვით მუშებს მშენიერი დარბაზი, ჩემს შეკითხვაზე, რა სახსრით გააკეთეთ მეთქი, მიპასუხეს—მასალა ვიყიდეთ შვედთბულის თანხით, ხოლო მუშაობით, ჩვენ თვითონ ვმუშაობდით: ვიცით კალატოზობა, ღურგლობა, შელესვა, ღებვა და სხვა.

აი ასე კარგად მიდის სახალხო განათლების საქმე დაწინაურებულ ქვეყნებში და დროა რომ ჩვენც შეუდგეთ ამ საქმესაო. ლექტორი ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვეს დამსწრეთ. ლექციამ კარგი შთაბეჭდილებ მოახდინა მსმენელებზე. („ისარი“)



† დავით კეხელი.

შაბათს, 24 მარტს, ტფილისში გარდაიცვალა დავით იზანეს-ძე კეხელი. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ახლად გარდაცვალბულს მწერალს. კეხელმა მე-70 წლებში დაასრულა ტფილისის სემინარია და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს. იქიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგა ლიტერატურულს მოღვაწეობას და თითქმის განუწყვეტილვ მუშაობდა ამ სარბიელზე, მხოლოდ ეს სამი წელიწადია დაავადმყოფდა და თავი დაანება ლიტერატურულს შრომას.

პირველად კეხელი ქართულ პრესაში გამოვიდა და უმაღლე მიქცია საზოგადო ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მწერალმა. მალე კეხელი გადავიდა რუსულ გაზეთებში და იმ დროადან სახელი გაითქვა, როგორც ნიჭიერმა ფელეტონისტმა სადღესო თემებზე და ადგილობრივ ქაშთა სიავეუკეხელი მუშაობდა „ნოვ. ობოზრ.“-ში (ნიკოლაძის დროს) და „ტიფლ. ღ.“-ში, რომლებშიაც დავით სოსლანისა, ზოილისა და ნოვეუსის ფელეტონებსყველანი კითხულობდნენ, თუმცა ბევრი არ თანაუგრძობდნენ ზოგ მის შესხედულებასა და აზრს ადგილობრივ საქმებზე და მოღვაწეებზე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * ჩვენ შევტყვევებთ პეტერბურგიდან, რომ უშიშრად სინოდს გარდაუწყვეტია სამი კონსისტორიის დაარსება საქართველოში. ამ კონსისტორიის შესანახავად მოთხოვნილია სახელმწიფო ხაზინიდან ოცდა თექვსმეტი ათასი მანეთი. საქართველოში აპირებენ ორი სემინარიის გახსნას, ერთ სემინარიასი სწავლება იქნება ქართულად და მეორეში ყველა სავნების სწავლება იქნება რუსულად. ქართულ სემინარიაში კურს დამთავრებულით, რასაკვირველია, არ შეეძლება აკადემიაში წასვლა. ეს ქართული სემინარია ალბათ ქართველებისათვის იქნება, რომ უმადლესი სწავლა არ მიიღონ და, დღევანდელზე მეტად დაქვეითდნენ...

* * ბლადოჩინი დეკ. ლუკა ქვაშვილი 25 მარტს გარდაიცვალა თფილისის მიხაილოვის სამკურნალოში ცოტა ხნის ავადყოფობის შემდეგ. განსვენების დღე არის დანიშნული 31 მარტი. კვირას მწირველი იქნება მისი სულის მოსახსენებლად ყდ სამღვდლო ლეონიდი, რომელიც მიწვეულია საქარის მაცხოვრის ეკლესიაზედ. განსვენებულს არაფერ არ დარჩენია ერთი ნაშვილები ქალიშვილის მეტი.

სიმონეთის საბლაღოჩინო ოლქი, რომელშიდაც განსვენებული იყო ბლადოჩინად გაქიმულია კახიდან მოყოლებული ქვაშვილისინ, თითქმის ორმოც ვერსტზე და შესდგება ოცდა ათი შატისავან. დიდი ხანია სამღვდლოება თხოვილობს რომ ეს საბლაღოჩინო ორ საბლაღოჩინოდ გაიყოს. ესლა სამღვდლოება იმედოვნებს, რომ ეს საბლაღოჩინო ოლქი ორ საბლაღოჩინოდ გაიყოფა და სამღვდლოებას აღარ გაუქირდება ერთად შეკრება.

* * სასტიკი ზომები გაფიცვის წინააღმდეგ. როგორც ვწერდით პეტერბურგიდან ბაქოში გაიგზავნა უნდარბთა კორპუსის უფროსი გენერალ ტაუშე. ესლა, როგორც სააგენტოს დებეშა ვადმოგვემს, გენერალს ნაბძანები აქვს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები გაფიცვის ჩასაქრობად.

* * რკინის გზა საშუალოდ კაცების ხელში. „ტფლის.“ მეტად საყურადღებო ამბავს ვადმოგვემს. გაზეთების სიტყვით, რკინის გზათა მთავარ სამმართველოს განკარგულება მოუხდენია, რომ მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებლების რე-

ვიზორად, სადგურის უფროსებად, მათ თანაშემწეებად, ობერკონდუქტორებად და მაშინისტებად სულ საპიორის აფიცრები და სარკინის გზო მატალიონის სალდათები დანიშნონ ამათი დანიშნა თან და თან მოხდება.

* * 18 მარტს დახატმრებულნი. როგორც ოფიციალური გაზეთები „კავკას“-ი ვადმოგვემს, მარტო 28 მარტს თფილისში დაუბატირებიათ ორას კაცზე მეტი.

* * ამოაკული ვახსა ახალი სხენგეები. რადგან ამ ბოლო დროს დიდი მოთხოვნილება ამოაკულ ვახსი, მიწათ-მოქმედების სამინისტროს ვადაუწყვეტია დაარსოს კავკასიაში რამდენიმე ახალი სანერგე.

* * საზღვარ-გარეთელ ვაზეთებში დაბეჭდილ საღამოს დებეშებში ნათქვამია, რომ სათათბიროს მიერ ბიუჯეტის კომისიაში ვადაცემამ რუსეთის ქალღლებს ფასი ასწიაო.

* * სანთო დაჯარამების მოსახება. როგორც ვიცით, ხშირად რაიმე საქმისთვის მთელ სოფლებს და ქალაქებს აჯარიმებენ. როგორც „პარუს“-ი ვადმოგვემს, კავკასიის ნამესტნიკს წინადადება მიეცა, მოსპოს საერთო ჯარიმები.

* * გოფიცინის სიკვდილი. როგორც სააგენტოს დებეშები ვადმოგვემს ოცდა-რვა მარტს პეტერბურგში ვადაკვლილა კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფი თვადი გოლიცინი. (ის.)

* * ტფ. გენ.-გუბერნატორმა შემდეგი ვანცხადება ვამოსცა: „საქიროდ ვრაცხ ქ. ტფილისის მცხოვრებთ, ვაცნობო რომ ჩემ მიერ აღკრძალულია ყოველგვარი მიტინგები, ყრილობანი და კრებები როგორც დახურულ შენობებში, ისე ვარედაც. ხელმოვრდ ვაფრთხილემ მცხოვრებთ, რომ როგორც კრებაში მონაწილეთ, სახლის პატრონთ, რომელთა ნებართვით ვამიართება აკრძალული კრება; სასტიკი ადმინისტრაციული სასჯელი ვლით: ესე ოგი საპურობილეში სამი თვით დატუსალება ან 3000 მანეთამდე ჯარიმა. თვით კრება კი იარალით იქნება დავანტული. ტფ. დროებით გენერალ გუბერნატორი გვენერალ-ლეიტენანტი ტიომფევი“.

* * ვმოგვიდა „ნაკადული“ მე-ნ ნომერი (მცირე წლოვანათვის). შინაარსი: „ლიზიკო და ციკუნია“, ლექსი ა. ნ-ისა; „პატარა მვდარე“,

მოთხრობა განდევლისა; „დათვის ბელგები“, თარგ ტეტიასი; „ვისი მრალია“, ივავი მ.—ანისა; „წითელი მარქანი“, თარგ. დ. კიფანისა; „ინდოური და მამლაიწა“, ი. მქედლიშვილისა, ერთი ძალოს თავგადსაქალი“, თარგ. მ. დემურიასი და ნარევი.

* * * მაქსევის ქარხნის შენობაში 16 მარტს თავი მოიყარა ხალხმა სასულიერო შინაარსის ქადაგების მოსასმენად. კრებას დაესწრო სხვათა შორის სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატი ევის-კოპოსი ევლოგი, რომელმაც სიტყვა თქვა დააპირა. „ხმა-მალა, ხმა-მალა“ — შესძახა თავ-მოყრილმა ხალხმა. ევისკოპოსმა უფრო ხმა-მალა დაიწყო ლაპარაკი, რომლის პასუხად ასტყდა ერთი ალაქაოთი: სტეენა, ცვირილი და სხვა და სხვა მუქარა. „ხელები სისხლში გაქვს დასერილი! ძირს ებრადეთა ამწიოკებელნო!“ — უყვიროდა ხალხი ევისკოპოსს ევლოგის. ამას შემდეგ კრება დაიშალა.

* * * დატუსალიბულია მუშა ლეზედვი, რომელსაც ორჯელ გაუფრთხილებია იოლოსი, მოკვლას გიპირებენო. ლეზედვის ჩვენების თანახმად გაზხრიკეს სხვა და სხვა სახლი და დაატუსადეს რამდენიმე კაცი. დატუსალებულია სხვათა შორის რუსთა კავშირის ბასმანი ვანყოფლების მდივანი ალექსანდროვი, რომელსაც უნახეს იოლოსის ადრესი და აგრეთვე მოსკოვის ყველა, მემარცხენე და მემარჯვენე, ვაზეთების რედაქტორების ადრესები. ალექსანდროვი თავს იმართლებს, რომ მოსკოვის ყველა ვაზეთში პროტესტის გაგზავნა გვინდოდა პოლიტიკურ მკვლელობათა წინააღმდეგ და ადრესებიც ამიტომ შეეკრიბეთო.

რუსეთის ვაზეთებში მოყვანილია მრავალი ცნობა განსვენებული იოლოსის პიროვნებისა, იმის გულ-კეთილობის შესახებ. სხვათა შორის, შემდეგიც არის მოთხრობილი. იოლოსი რამდენჯერმე ვაფრთხილეს, მოკვლას გიპირებენ და გირჩევთ რევოლუციი იყიდო და ჯიბით ატარო. განსვენებულს ამაზე უპასუხნია გულ-კეთილი დიმილით: „რისთვის? ერთი რომ მე სროლა არ ვიცი, მეორეც ის არის, რომ სრულებით ვერ წარმომიდგენია, რანაირად შეიძლება, რომ აღამიანა აღამიანს ესროლოს და მოსაკლავად გაიმეტოსო.

მთავრობის გაკეთა სათათბიროს დაშლის შესახებ.

მთავრობის ოფიციალურ ვაზეთში „როსსია“-ში დაბეჭდილია: მემარცხენეთა პრესის უდროვოდ სწუხს სახელმწიფო სათათბიროს ბედ-იბნაის გამო. მემარცხენეთა ერთი ვაზეთი იუწყება, ნამდვილ წყაროებიდან ვაზეთით რომ მთავრობას ვადწყვეთილი აქვს დაშლის სათათბირო იმ შემთხვევაშიც, თუ თვით მემარცხენენი სამისო მიზეზს არ მისცემენო. მემარცხენენი კანონიერების ჩვეულები არ არიან და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ მთავრობა საქმოდ ძლიერია, რათა სხვებს კანონის პატივის ცემა დაევალოს, თუთონ არასოდეს არ შელახავს ამ კანონს, არამედ ყველა ქვეშევრდომთ კანონის პატივის ცემის მგალითს აჩვენებს. სახელმწიფო სათათბირო ხელმწიფისაგანაა მოწოდებული, მთავრობაც ხელმწიფისაგანაა დანიშნული. სათათბიროს საკანონმდებლო უფლებას და მთავრობის აღმასრულებელ უფლებას საერთო წყარო აქვთ—ხელმწიფის ნება, და როგორ შეიძლება, რომ მთავრობამ სათათბიროს კანონიერი მოქმედება დააბრკოლოს. ამის მოღვაწეობას აბრკოლებენ პასუხის გებას მოკლებულნი მრჩეველნი, რომელნიც სკდილობენ მთავრობის და სათათბიროს შორის შეტაკება გამოიწვიონ.

მაშვადანთა ჭკუფი. სათათბიროს მაშვადიანი დეპუტატები, რიცხვით 40 კაცი, აღგენენ ცალკე საპარლამენტო ჯგუფს, რომელიც თავისი პროგრამითა და მოქმედებით ცენტრს მიეზრობა: საადგილო-მაშულო საკითხში მაშვადიანეზი აღიარებენ მიწის ძალდატანებით ჩამორთმევას, სამართლიანი შეფასებით; აგრეთვე მოითხოვენ ფართო ადგილობრივ თვითმართველობას, ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას და სხვა,

მაღროსი-დეპუტატები. 27 თებერვალს სათათბიროს დეპუტატებმა მალოროსებმა, რიცხვით 33 კაცმა, კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს პეტერბურგში მილოროსიულ ენაზე სახალხო ვაზეთი გამოსცენ, რომელსაც საფუძვლად დაედება მშრომელთა ჯგუფის პროგრამა.

მშრომელთა ჯგუფი. 26 თებერვალს მშრომელთა ჯგუფს თათბირი ჰქონდა საადგილო-მაშულო საკითხის შესახებ. დაესწრო 76 კაცი. მოხსენება წაიკითხა კარავაევმა, რომლის ნაშრომს საფუძვლად დაედო პირველ სათათბიროში შეტანილი კანონპროექტის უმთავრესი მუხლი: „მთელი მიწა მთელ ხალხს“.

ხალხს“. მიწის განაწილების შესახებ კამათის დროს ზოგი უფრო სამართლიან განაწილებას ემხრობოდა, ზოგიც სრულ გათანაწორებას აღიარებდა

საბოლოო გადაწყვეტილება კრებას არ გამოუტანია.

უცხოეთის გაზეუება სთაბაროს დაშლის შესახებ. ლონდონის გაზ. „ტიმს“-ს დებეში აუწყებენ პეტერბურგიდან: თუ სათათბირო სოციალ-დემოკრატების წინადადებას მიიღებს ამნისტიის შესახებ, დაუკონებლივ დაშლილ იქნებაო. ხმებმა სათათბიროს მომავალ დაშლის შესახებებს ისე იმოქმედა პარიზის ბირჟაზე, რომ შეამცირა რუსეთის ქალაქების ფასი. საფრანგეთის პრესსა დაბეჯითებით ირწმუნება, მთავრობა მიზნს ეძებს სათათბიროს დასაშლელად, შემდეგ კი ყველა გუბერნიიდან თავდა-ახზაურთა წინამძღოლებს და ზოგიერთ საერობო მღვდლებს მიიწვევს და საარჩევნო კანონის შეცვლას დაავალბებს.

შეწირულუბანი

უმორჩილესად გონივრულ ნება მიბოძოთ თქვენნი პატივცემული ვაჟეთის „მწყემსის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუტყდალ მე და ჩემი მრგვლის მხრით რწმუნებულს ჩემდამო სამრევლოშივე მცხოვრებს გიორგი (იგივე გიგია) თევდლორეს-ძეს ბრგვაძეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო ზედარგნის წმიდის მთავარ ანგელოზის ეკლესიას თავის ქალიშვილების ნინას და ლიუდმილას სახელობაზედ შემოსწირა შემდეგი ნივთები:

- 1) ტრაპეზზედ დასადები ვერცხლის ჯვარი, ღირებული 25 მან.
- 2) თორმეტი საუფლო დღესასწაულის ხატი თავის ჩარჩოთი, ღირებული 12 მ.
- 3) კრეტსამბელი, შალის ფარდა, ღირებული 6 მან. 50 კაპ.
- 4) თანაარხი, სამღეროვანი შანდალი, ღირებული 5 მან.
- 5) ტრაპეზზედ დასადემელი ერთი რწყვილი შანდალი, ღირებული 3 მან. და სრულიად ყველა ნივთების ფასი = 51 მ. და 50 კ. ლმერთო მადლო! „წმიდა ჰყვენ მოყვარენი სახლისა შენისა მშვენიერებისანი!“

ზედარგნის წ-ის მთავარანგელოზის ეკლესიას
მღ. ბესარიან ვაშაძე.

შურნალ-განმთავრება

რას წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი? იგი საუკეთესოდ ახასიათებს თვით წესწყობილებას, ახასიათებს თვითპარობელ ბიუროკრატის განმანადგურებელს როლს რუსეთის ხალხის ცხოვრებ.ში.

სახელმწიფო აუარებელ ფულს აგროვებს ხალხისგან, მძიმე უღელს ადებს კისერზე ხალხს იმ ვანზარხვით, რომ სახელმწიფოს კულტურულ მოთხოვნილებათ გაუძღვეს, ნაყოფიერად დახარჯოს ფული და ამით ხელი შეუწყოს ხალხის მატერიალურსა და სულიერს ზრდას. ასე უნდა იყოს. მაგრამ ნამდვილად სულ სხვას ვხედავთ. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფონი საზოგადოდ არა ნაყოფიერად ხარჯავენ ხალხისაგან აღებულ ფულს (ვაიხსენებ თუნდ სამხედრო ბიუჯეტი); მაგრამ ის, რაც რუსეთში ხდება ამ მხრივ, საოცარია და უმეგალითოა, როგორც უმეგალითოა თვით წესწყობილება. რუსეთის ბიუროკრატია, მთავრობა ხალხის მსახური კი არ არის, ბატონია; იგი—კი არ არსებობს ხალხისთვის, ხალხი არსებობს მისთვის. ასეთსავე განწყობილებას ვხედავთ ბიუჯეტში: მთელი შემოსავალი თითქმის ბიუროკრატის საჭიროებას ხმარდება და არა ხალხისას.

ამას ცხადად გვიჩვენებს გაკვრითი ანალიზიც ახლანდელის ბიუჯეტისა, ნათლად გვიმტკიცებენ მჭერმეტყველური ციფრები, რომელნიც „რუსკ. ვედომ.“-ს ამოუკრეფია და დულაგებია ფინანსთა მინისტრის შემოსავალ-გასავლის პროექტიდან 1907 წლისათვის.

ავღოთ ჩვეულებრივ გასავლის ბიუჯეტი. პროექტით იგი უდრის 2.173.130.171 მანეთს. ერთი მესამედი ამისა (718 მილიონ მანეთზე მეტი) შეადგენს იმ ხარჯს, რომელიც უნდება სახაზინო სამრეწველო საქმეების წარმოებას; მაგარ სასმელეების მონაპოლისას, რკინი გზებს, სატყეო მეურნეობას და სხვა ამ გვარ სახაზინო საქმეებს. ეს ხარჯი, მაშინადაც, ხაზინის საწარმოვო თანხა და ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებას არ ხმარდება. ამ ფულის გამოკლებით რჩება გასავალი ბიუჯეტში 1 მილიარდი და 454 მილიონი მანეთი. ვნახოთ როგორია იხარჯება ეს აუარებელი ფული, ეს მიანიც თუ ხმარდება ხალხის კულტურულ საჭიროებათ.



პირველად ყოვლისა ამ ფულადან უნდა გამოვკლოთ 26% ზე მეტი, სახელდობრ 380 მილიონი მანეთი, რომელსაც რუსეთი სარგებლად იხლის დღემდის აღებულ ვალებში. დარჩა 1 მილიარდი 74 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი. აქედან 420/100 ანუ 457 მილიონ მანეთზე მეტი იხარჯება არმიას და ფლოტზე! დავგრჩა ესლა სახარჯო ბიუჯეტიდან მხოლოდ 616 მილიონ მანეთზე ცოტა მეტი. ამ რიგად, ორ მილიარდ ბიუჯეტიდან თითქმის სამი მეოთხედი უკვე დაიხარჯა ისე, რომ ხალხის კულტურულ საჭიროებათა განხილვაში არც კი შევსულვართ.

ზემოდ აღნიშნულ „დარჩენილ“ ბიუჯეტიდან აუარებელი ფული იხარჯება სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვაზე; სახელდობრ, ყველა უწყებათა შენახვა ხალხს უჯდება 170.570.729 მანეთად! პოლიციას უნდება 64 მილ., საპატიმროებს—47 მილ., სამდევლოებას და ექვლ.—16 მილ., პენსიებისა და არენდებისათვის (მოხელეთა განსაკუთრებული ჯილდო) გადადებულია 87 მილიონზე მეტი. ეს და მართვა გამგეობის შესანახად სხვა „წვირილი“ ხარჯებიც რომ გამოვკლოთ გასავლის ბიუჯეტს, დავგრჩება სულ მცირე ჯამი, რომელიც ხმარდება მართლა კულტურულ საჭიროებათა. რამდენად მცირეა ეს ხარჯები, გვიტკაცემენ შემდეგი ციფრები: გზებს, ფოსტას, ტელეგრაფს და ტელეფონს უნდება 44 მილ. მანეთი, ხალხის ჯანდაცობის და ცეცის საქმეს—3 მილ. მან. გამოჯენის საქმეს—2 მილიონამდე და ბოლოს საერო განათლების მთელ საქმეზე ყველა უწყებანი ხარჯდენ 77 მილ. მანეთს, აქედან: პირველ დაწყებთ სწავლაზე—30 მილ., საშუალოზე—15 მილიონს, უმაღლესზე—9 მილიონს, სპეციალურზე (სახელო, სასულიერო და სხვა) 17 მილიონს, სამეცნიერო საზოგადოებებზე—2 მილიონს და სხვა. ამ რიგად, „ჩინოვნიკების“ შენახვაზე რუსეთის სახელმწიფო ხარჯავს 170 მილ. მანეთს და საერო განათლებაზე 77 მილიონს!.. სულ კი ორ მილიარდ ბიუჯეტიდან ნამდვილი ნაყოფიერი ხარჯი 130 მილიონი მანეთიც არ მოდის!!

აი, რა სურათს წარმოგიდგენს თანამედროვე რუსეთის წესწყობილება. აქვე უკეთესად ირკვევას გამოკანა, თუ რატომ იცავს ასე გამწარებულიად და თავდადებით რუსეთის თვითპყრობებში ბიუროკრატია თანამედროვე წესსა და კანონებს და რატომ ეწინააღმდეგება ესოდენის თავანწირულებით განმათავისუფლებელ მოძრაობას... („ისარი“)



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზღვრებში და კეთილზნებობაზე.

ჯ. პარცვაძე ქრისტინი.

იესო ქრისტეს დროს ჯვარცმა იყო საზარელი და სამარცხენო დასჯა ადამიანისთვის: ჯვარცმული ადამიანი იწოდებოდა შეწვენიულად, იწოდებოდა მაშინ, როდესაც სრულიად კაცობრიობა იყო ღვთისგან შეწვენიებული ცოდვისათვის და საჭიროებდა შეწვენიებისგან ხსნას. ამ გვარი ტანჯვის მსხვერპლად შეიქმნა განხორციელებული და განკაცებული ქე ღვთისა, რათა აეხსნა კაცობრიობისგან დაღი შეწვენიებისა და მოველინა მისთვის კურთხევა და მოწყალება. ასე შეიძლება იგი, უწყმინდესი არსება, უსჯულოთათნა, რომელიც, ერთხავე დროს, ავაზაკობისთვის ჯვარცმული იყვნენ ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ ქრისტეს ჯვარისა. მძიმე იყო მისთვის ეს ჯვარი: მან იტვირთა თავის თავზე და აიტანა ჯვარზე ცოდვანი და ტანჯვანი სრულიად კაცობრიობისა.

ვერაგითარი ჰაზრი, ვერაგითარი სიტყვა ვერც წარმოიდგენს, ვერც გამოხატავს სისრულით და ღირსებით ქრისტეს ტანჯვის სიმწარესა, ვერაგითარი ცრემლიც ვერ დაიტვირებს მას.—ვისაც სურს, რომ იხსნას თავი თვისი საკუთარი ცოდვისა და ტანჯვის სიმწარისგან, მან უმკველად უნდა ირწმუნოს ქრისტე—მაცხოვარი, ჯვარზე ტანჯული, და იქონიოს შეგნება, რომ მაცხოვარება ქრისტესი არ აქვებებს ქრისტიანს ცოდვაზე, არამედ ვალდებულ ჰყოფს მას, რომ შეამციროს თვისი ცოდვანი,

ტანჯვა არც სულიერი, არც ხორციელი, როგორც თვით სიკვდილიც, არ შეადგენენ ადამიანის ბუნებრივ ხვედრსა. იგიანი არიან შემთხვევითი მოვლენანი, ადამიანის ცოდვით გამოწვეულინი. ცოდვამ ისე ავნო ადამიანსა, რომ იგი



შეიქმნა მის გამო ტანჯული და მოკვდავი ხორციელდაც და სულიერადაც, ხორციელად ჰკლავს ადამიანსა გარეგანი ნივთიერება თვის შეხებითა. შეხება ლურსმისა, ლახვრისა და სხვათა ნივთიერი იარაღთა, ანუ სნეულება, არღვევენ სხეულის შენობასა, შლიან მას იმდენად, რომ იგი უფარგისი ხდება სულისთვის, იცოცა შორდება მას. ეს მოვლენა იწოდება სხეულის სიკვდილიად.—სულსა ჰკლავს ცოდვა არა მხოლოდ დროებით, არამედ საუკუნოდ. სულის სიცოცხლეს შეადგენს მისი ერთობა შემოტყვევანად, ხოლო ცოდვა უშლის ამ ერთობასა. ამიტომ ადამიანი საჭიროებს ცოდვათა მიტევებას, რომ დაუახლოვდეს თვის შეოქმედსა. კაცის ცოდვათაგან ხსნა არის უმაღლესი ზეციერი მიზანი ღმერთ-კაცის ჯვარცმისა. მისი სხეულიც, თუმცა იყო უცოდველი მაგრამ როგორც ნივთიერი, ექვემდებარებოდა სიკვდილის იმ პირობებსა, რომლებშიც იმყოფება საზოგადოდ ადამიანის სხეული. ასეთი ტანჯვით გამოიხსნა ქრისტე—ღმერთმა ადამიანის სული ცოდვათაგან და საუკუნო სულიერი ტანჯვისაგან. ქრისტეს მიერ მაცხოვარების საქმე არ შეეხებოდა ქვეყნიერი ცხოვრების წეს-წყობილებასა. ეს წესი როგორც იყო, ისეთივე დარჩა: ადამიანი წინეთაც იბადებოდნენ და იხოცებოდნენ, ეხლაც იბადებიან და იხოცებიან, შემდეგშიც დაიბადებიან და დაიხოცებიან. წარმოება მაცხოვარების საქმისა ეხება სულიერ ქვეყანასა. მისი მიზანი არის ადამიანის ნეტარი ცხოვრება საფლავს იქითა და არა განცხრომა მისი საფლავს აქეთ.

საფლავი, .. სიკვდილი, .. მათი შედეგი, .. დიდად საფიქრებელნი არიან ადამიანისთვის. იგინი შეადგენენ ადამიანის ცხოვრების უმაღლეს საკითხსა, რომლისაც განმარტება არ შეუძლიან არა—რომელს კაცთაგან გენიოზსა. ეს საკითხი საუკუნოდ განმარტებულია ქრისტეს ჯვართა. საბრალო ავაზაკმა, მარცხნივ ჯვარცმულმა, ვერ შეიგნო თვისი ზნეობითი სიბნელე, შეურაცხჷყო ურწმუნოებითა სიმართლეს მასთანვე ჯვარცმული ქრისტესი, ამისთვის ვერ მოეფინა მას ქრისტეს მაცხოვარების მადლი, დარჩა იგი ცხონებას მოკლებული და შეიქმნა მსხვერპლად ტანჯვითი უკვდავებისა. ხოლო ავაზაკი, მარჯვნივ ჯვარცმული, ღირსი შეიქმნა ღვთის სასუფეველისა, ნეტარი უკვდავებისა,

ამისთვის. რომ შეიგნო მან თვისნი შეცოდებანი, აღვირა იგინი, გაიმტკუნა თავისთავი. ხოლო სიმართლეს ქრისტესი ირწმუნა, ირწმუნა მისი ღვთაება, მიზანი მის ჯვარცმისა და ეს ყოველი კეთილ მოქმედება დაავიწყებინა გულრწმუნულადღებთა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“.—სანუეგშო პასუხიც მაშინვე მიიღო ქრისტესაგან: „ქეშმარიტად გუბნები შენ, ღღესვე იქმნები ჩემთან სამოთხეში“. ასეთია ბოლო სიკვდილისა მორწმუნეთა და ურწმუნოთა ადამიანთათვის...

ასეთი უფლებებით დაპირების წარმოთქმა შეეძლო მხოლოდ ღმერთ-კაცსა, სამოთხის მეუფესა და არა ჩვეულებრივ ცოდვილ ადამიანსა, თუნდაც რომ გენიოზსა. დღიდგან პირველი კაცის შეცოდებისა ქრისტე მაცხოვრის სიკვდილამდე სამოთხე დახშული იყო ადამიანისთვის. სიკვდილის გზა მიმართული იყო ჯოჯოხეთში, სადაც მართალი მხოლოდ ნუგეშობდნენ მაცხოვრის მოლოდინითა. ეს ხანგრძლივი მოლოდინი აღსრულდა მაშინ, როდესაც ქრისტე-მაცხოვარმა ჯვარზედ განუტევა სული იგი, ვითარცა ღმერთი, ჩაეიდა ჯოჯოხეთში, დაამხო მისი ძალა, გამოიხსნა მისგან ყოველნი, მაცხოვარების მორწმუნენი და მომლოდინელნი, დაამკიდრა იგინი თვის სამოთხეში, ხოლო მათთან ავაზაკთა, მარჯვნივ ჯვარცმული, თანხმად აღთქმისა. შემდეგ ასეთი ძლევისა, ქრისტე-მაცხოვარი სულით შეუერთდა თვის სხეულსა, რომელიც განისვენებდა საფლავში, და დიდებით აღსდგა მკვდრებით მესამესა დღესა, გამოეცხადა იგი თვისთა მოწაფეთა და მორწმუნეთა, დაჰყო მათთან კიდევ ორმოცი დღე და ამაღლდა დიდებულად შეცვლილი სხეულით ზეცად, საიდგანაც კიდევ მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომელნიცა აღსდგებიან მისივე ძალითა.

აგერ მეოცე საუკუნე მიმდინარეობს, რაც ქრისტე მაცხოვარი, ჯვარცმული, მარჯვნივც და მარცხნივც უწოდებს თავისკენ სრულიად კაცობრიობასა, მაგრამ მსმენელნი მცირელი არიან. აქ ცხადია ის ქეშმარიტებაცა, თუ როგორ მრავალნი არიან ქრისტესაგან მოწვეულნი დასამკვიდრებლად ღვთის სასუფეველისა, ხოლო რღვორ მცირედნი იმკვიდრებენ მას. ამის მიზეზი მდგომარეობს ნაღვლიად იმაში, რომ კაცობრიობის უმეტესობა ვერა

სცნობს ადამიანის ბუნების შინაარსსა, ვერ შეუღწენია, რომ ადამიანის სული საჭიროებს თვის შემოქმედთან ცხოვრებას იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია ქრისტეს მიერ.—გონება კაცის ძეგს ცხოვრების მიზანსა და ქვემოთბრძანებასა კაცისავე გონებაში. რომელიც მოკლებულია ყოველს—მეცნიერებასა; ბრმა ბრმას ექიდება და ორივენი ვარდებიან უბედურების უფსკრულში. გული სწორავს სიყვარულის ნიქსა მხოლოდ ამაოებასა: ქარისგან მოტანილი ქარსვე მიაქვს, ხოლო გული რჩება ცარიელი, და სიცარიელე ტანჯავს მას. ნებაც ხელს უწყობს ამგვარ მიდრეკილებასა. ამ გზით მრთელი ბუნება ადამიანისა იმყოფება ცხოვრების სიბნელეში. ეს ფრიალ საყურადღებო უნდა იყოს ყოველი გონიერი ადამიანის მხრივ.

სიბნელეშია ებრაელი, ოდესმე ღვთის საყვარელი, ოდესმე რჩეული ერი ღვთისა, რომელიც აქამომდე იმყოფება ცრუ იმედში და მოელის თვის მხსნელად მეფესა, ქვეყნის დამპყრობსა, შემდეგ იმისა, როდესაც მან ვერ იცნა თვისი ქვეშაობის მხსნელი, ძე ღვთისა, იესო ქრისტე და ჯვარს აცვა იგი. ვერ იცნა ის, რომელზედაც სასებით აღსრულდნენ ძველი აღთქმის წინედ დასახვანი და წინასწარმეტყველებანი, რომლებითაც ღმერთი ამხადებდა ამ ერსა მაცხოვრების მისაღებად.—ვერ იცნა მან ზეციერი მეფე მშვიდობისა, კურთხევისა და მაცხოვრებისა, ამიტომ რომ მან დაჰკარგა შინაარსი ღვთაებრივი აღთქმისა, დაჰკარგა ის ჰაზრი, რომ კაცობრივობას აღთქმული ჰქონდა არა ხორციელი, არამედ სულიერი მაცხოვრება: ამაოა ებრაელის წადილი და ბოლოდინა...

ბნელი და მაცდურია სარწმუნოება, რომელიც ემსახურება სისხლსა და ხორტსა, რომელიც ჰპირდება თვის მიმყოლთა საიქიოსაც ხორციელ შეებასა და განცხრომასა: უმეცარია ეს სარწმუნოება ადამიანის ბუნებისა...

ამაყი და უიმედოა სარწმუნოება, რომელიც აღმერთებს ადამიანის გონებასა, მის სწავლა-ხელოვნებასა აქამომდე. რომ იმედულობს და მოელის მათგან ჰირველსა და უკანასკნელ ნუგეშისცემასა თვის მწუხარებით მოკულ ცხოვრებაში...

უგუნური და ბიწიერია სარწმუნოება, რომელიც ემსახურება კერპთა ნიეთიერთა ანუ სულიერთა, ბიწიერების გულის-თქმათა, და არა სცნობს

იმ ღმერთსა, რომელსაც შეშვენის პატივი და თავყანისცემა სულითა და ქვეშაობრტებითა...

მრავლი ერი იმყოფება სხვადასხვა ცრურწმუნების მონებაში. მაგრამ ადამიანის უმაღლესი თვითშეგნება ხედავს ქვეშაობრტებას მხოლოდ ქრისტეს სარწმუნოებაში, რადგანაც აგი არის ყოველ მხრივ თანხმადი ადამიანის ბუნებისა და თვით ეს ბუნებაც მოწმობს მის ქვეშაობრტებასა და საჭიროებასა. ამიტომ მხოლოდ ამ სარწმუნოებას შეშვენის გავრცელება და აღყვავება კაცთა ნათესაობაში. ამ საქმის სარბიელზე შრამა არის ბუნებრივი მოვალეობა ყოველი მღვდისა და შეგნებული განებისა. მოვა, მოვა ვამბ, როდესაც უმაღლესი თვითშეგნება მოუყვანს კაცობრიობის უმჯობეს ჩამომავლობასა ქრისტესადმი თავყანის საცემლად აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით: ამას მოითხოვს სიმაართლე ქრისტეს სარწმუნოებისა, რომელიც არის ქვეშაობრტება ქვეშაობრტებათა, მაგრამ რომელიც ესოდენ ხანგრძლივ რჩება მრავალთა ადამიანთაგან შეუგნებელი...

ი ბაღუევი.

შეკვარა-ცოცხალი.

(მოთხრობა გრაფი მ. ტოლსტოისა).

ნიენი ნოვგოროდიდან მოსკოვში დაბრუნების დროს, რკინის გზაზე, ვლადიმირის სტანციის ერთს კუნძულში მე შეენიშნე ბერი, რომელიც ყურადღებით კითხრობდა ლოცვნის მსგავს წიგნს. მოხუცის სახე ძლიერ შესანიშნავი იყო. ქაღარა თმა და თეთრი თოვლივით წვერი თითქო ეწინააღმდეგებოდნენ მის ღიბს შავ თვალებს და ცოცხალ ახალგაზღვრულ შეხედულობას. როდესაც გაათავა კითხვა და შეეცა წიგნი, მე მიუჯექი ახლოს და მის სიტყვებიდან შევიტყვე, რომ ის იყო მღვდელმონაზონი გ... აღმაშენებელი და ზოგადი საცხოვრებელი—უღაბნოისა, მიღის პეტერბურგში ამ საქმის შესახებ, რომ იგი ბერად არის უმეტეს ოცდაათის წლისა, ხოლო წინეთ ყოფილა ლეიბგვარდიის მე-X პოლკის აფიცრათ.

—როგორ მოხდა ეს, რომ ლეიბ-გვარდიის აფიცრობიდან ბერათ შემდგახართ? ვკითხე. — ალბათ თქვენს ცხოვრებაში რაიმე შესანიშნავი მოხდა.



— დიდის სიამოვნებით გიამბეუბით მოთხრობას ჩემს ცხოვრებაზე, ანუ, უკეთ ვთხვავთ, იმ ღვთის მოწყობლებაზე, რომელიც მე ცოდვილს გადამომეწონა, მაგრამ ჩემი მოთხრობა ძლიერ გრძელი იქნება. მაღე კიდევაც დარეკენ და ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. ჩვენ ხომ სხვა-და-სხვა ვაგონებში ვზივართ.

მე გადავჯექი ჩემ მესაუბრის ვაგონში. ჩვენდა საბუნდოვროდ, იმის ვაგონში ჩვენს მეტი არაფერ იყო და მან მიამბო შემდეგი:

სამწუხარო და სასირცხოთ მიმანია მე ჩემი წარსულის მოგონება — ასე დიწყოა მ გ—მ. მე დავიბადე გამოჩენილ და მდიდარ ოჯახში. ჩემი მამა იყო გენერალი ვ. დედა კი თავადის ქალი გ. მე შვიდი წლის ვიყავი, როდესაც მამა ჩემი მოჰყვდა ლეიპციგის ომში ჭრილობით; დედა კი უფრო წინეთ გარდაცვალებულიყო. უდელ-მამო ობლათ დავარჩი აღსაზრდელათ ჩემი ბებების კნ. გ—ეს ხელში. მან მომიტეხა მასწავლებლათ ერთი ფრანკუზი — რაჰუბლიკანელი, რომელიც სიკვდილით დასჯას დასპროზდა ხელიდგან. მას არაფერი ცნობა არ ჰქონდა ღმერთზე, სულის უკვდავებაზე და ადამიანის ზნეობით მოგალომბაზე.

— რას ვისწავლიდი ამ გვარ მასწავლებლისაგან?

— ფრანკუზულათ ლაპარაკს, პარიეელი კილოათი, ხელოვნურად თამაშს და საზოგადოებაში კარგათ თავის დაჭერას, — მეტს არაფერს.

ერთი სიტყვით ყველაზე თქმა ახლა სასირცხოთ მიმანია. ბებია ჩემი ძველებურთ ხასიათის ქალი იყო, მალაღის წრისა და სხვა ნათესაებებც მალაღისებოდნენ, მაგრამ ერთსაც არ მოსვლია ფიქრათ, თუ რამოდენი სამწუხარო გარყენილება და უკველგვარი უღროვო სისაძაღლე იმაღებოდა ჩემში.

როდესაც თვრამეტი წელი შემისრულდა — იუნკერი ვიყავი გვარდიის პოლკში და მებატონე ორი ათასი სულისა; ბიძი ჩემის მზრუნველობის ქვეშე ვიმყოფებოდი. ბიძა ჩემი იყო ტყუილად ფულის მფრტველი და მეც მიმანია ამ გვარ ხელობას. ამ პოლკში ჩქარა ვავბდი კორნეტათ. ორი წლის შემდეგ დავინიშნე ერთს მშვენიერს და იმ დროის ლაშაზ თავადის ქალზე. ახლოვდებოდა გვირგვინის კურთხევის დროც. მაგრამ ღვთის განგება სულ სხვა ბედს მიმზადებდა. სჩანს რომ ჩემი სული შეებარა უფალს...

რამოდენიმე დღის წინეთ ქორწინების შემდეგ ლტობისა, თუხმეტ ენკინსთეეს *** წლისა, მივდიოდი სასახლის საყარაულოდგან შინ. დღე იყო მშვენიერი. ჩემი თოხარიკი ცხენი გავგზავნე და მე ქვეითა ვივალ ნევის პროსპექტზედ, ძლიერ მოწყენილი ვიყავ. რალაცა უცნაური მწუხარება მიხუთავდა სულს, რალაცა ბნელი წინასწარ გრძნობა მიძნელებდა სულის თქმას. ვავიარე ყახანის სობოროს ახლოს და შევედი შიგ. ეს პირველი იყო დაბადებიდან ჩემს ცხოვრებაში, რომ მომინდა ლოცვა ეკლესიაში! თვითონ არ ვიცი ვხლა, როგორ მოხდა ეს; მაგრამ მე გულ-მოდგინეთ შევევედრე ღვთის-მშობლის სასწაულ მომქმედ ხატს; ვევედრებოდი ღმერთს, რომ განეშორებინა ჩემგან ცოლ-ქმრობაში მოსალოდნელი გაჭირება.

სობოროდან გამოსვლის დროს კარებში შემავჩნა დედაკაცმა, რომელსაც გულზე მიკრული ჰყავდა პატარა ბავშვი და დამიწყო მოწყალეობის თხოვა. მანემდისინ სრულიად გულ-უწყალო ვიყავ გლაზკათა, მაგრამ ეხლა კი ძლიერ შემებრალა საწყალი დედაკაცი, მივეცი ფული და უთხარი — ილოცე ჩემთვისაც. წავედი ქვევით და სიარულში რალაცულათ ვგრანობდი თავს, ხან სიცხეს მომიცემდა და ხან დამეფუავდა, ფიქრები მერეოდნენ. მივედი თუ არა ძლივს ბინამდის — წავეციე უგრძობლათ, განსაციფერებლათ ჩემი მუდამ ერთგული სტეფანესა, რომელიც ბავშობიდგან იყო ჩემთან და ხშირათ მავროხილებდა მრავალ ცულ ქცევათაგან. შემდეგ რა მოხდა, არ მახსოვს. თითქო წამოვიდგენდი ხოლმე, ვითომც ძილში ვარ, მახვევინ გარშემო ექიმები და ვილაცა კიდევ სხვანი, რომ მე მტკიავა საშინლათ თავი და მთლათ ტრიალებს ყველაფერი ჩემს გარშემო, დასასრულ მე სულ დავკარგე ცნობა.

უგრძობლობა გავრძელდა (როგორც შემდეგ შევიტყვე) თორმეტი დღე და ღამე და შემდეგ თითქო გამოვიღვიძე. ვგრძნობ თავის-თავს სრულ მესხიერებაში, მაგრამ არ შემიძლია თვალების გახელა და გამოხედვა, არ შემიძლია პირის დაღება და რაიმე ხმის გამოთქმა, არ შემიძლია გამოვიჩინო რაიმე ნიშანი სიცოცხლისა, არ შემიძლია განვანძობო რაიმე სხეულა. უღებდ ყურს, ჩემს სიახლოვეს ისმის წყნარი ხმა.

უფაღმა მწყისოს მე და არს მაკლდეს ადგილას მწყანხელას მუნ დამეჰგოდარა მე, წყაღათ ზედა განსახენე-

ბელთას გამოზარდა მე; მოაქცია სულა ჩემი და მიმ-
დოდე მე გზათა სიმართლისათა სსხველას მისისათვის.
ვადრდი-და თუ შორის აწრდილათა სიკვდილასათა არა
შემეშინოს მე, ბოროტებისაგან, რამეთუ ჩემთანა სარ
(ფს. 22).

ოთახის ერთი კუთხიდან მისმის საუბარი ორ ამხა-
ნავთა მოსამსახურე პირებისა. მე ისინი ხმაზე ვი-
ცანი. მებრალება საწყალი ვ, ამბობდა ერთი, — მის
სიკვდილი ჯერ ადრე იყო — როგორი მდიდარი იყო
და რა ლამაზი საცოლო ჰყავდა!..

— საცოლო ბერი შესაბრალოსი არ არის —
უპასუხა მეორემ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის
ქალი მიჰყვებოდა მაგას ანგარიშისათვის. ეგ კი
მართლა შესაბრალოსია. ეხლა სასესხებელსაც ველარ-
სად ვიშოვნით — იმისგან კი ყოველთვის შეგძლოა
გემოვნა რამდენიც გესურდათ და რამდენი ხანიც
გინდოდათ.

— არამც თუ დიდ ხნობით, არამედ ზოგიერთები
სრულებით არ უბრუნებდნენ. მართლა, არ არის
ეჭვი, რომ მაგის ცხენებს გაჰყიდიან იაფათ. კარგი
არ იქნება, რომ ვიყილოთ მისი საჯდომი ცხენი?

ეს რა ამბავია? ვფიქრობ, ნუ თუ მართლა
მოკვდები? ნუ თუ ჩემს სულს ესმის რაც ხდება ჩემს
გარშემო? მაშა ხადამე ჩემშია სული, გაშორებული
სხეულისაგან — უკვადვია სული? (მე საცოდავს
პირველ შემხვდა ამაზე ფიქრი). არა, არ შეიძლება,
რომ მე მკვდარი ვიყო. მე ვგრძობ, რომ ხმელზედ
ვარ დაწოლილი; ვგრძობ, რომ მუნდარი მიჭირებს
გულზედ, მაშასადამე მე ცოცხალი ვარ. დავწევები
დავისვენებ, მოვლონიერდები და მერმე გადახელ
თვალებს. როგორ შეშინდებიან ყველანი და განც-
ვიფრდებიან!

გვიდა რამოდენიმე საათი (მე შემიძლო გამო-
მეთვალა დრო კედლის საათის ცემაზე, რომელიც
მეორე ახლო ოთახში ეყიდა). დავითნს კითხულო-
ბდნენ. საღამოს პანაშვილზე შეიკრიბნენ მრავალი
ნაცნობები და ნათესავნი. ყველაზე უწინ მოვიდა
ჩემი საცოლო თავისი მოხუცი მამით. „შენ უნდა
მოწყენილი სახე დაიკავო, ეცადე, თუ შეგიძლია,
რომ იტიროა“. ეუბნებოდა მამა. — ნუ სწუხდებით
მამილო, ეუბნებოდა ქალი, მგონია შემიძლია რი-
გიანათ თავის დაქვრა, მაგრამ, უკაცრავათ, ძალათ
ტირილი კი არ შემიძლია. თქვენ ხომ იცით, რომ
მე არ მიყვარდა ე... მე მიყვებოდი მას ცოლათ

თქვენის წინადადებით და რჩევით. ჩემს თავს ვსწი-
რავდი ოჯახისათვის...

— ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, განაგრძო მო-
ხუცმა, მაგრამ რას იტყვიან, რომ შეგხვდვენ ფერე
გულ-გრილად მყოფს? ეს დაკარგვა ჩვენთვის დიდი
სამწუხაროა. შენი გათხოვება თუ გაასწორებდ
ჩვენს საქმეს, თორემ ეხლა სად იშოვნი იმისთანა
სასარგებლო საქმროს? რასაკვირველია, ეს საუბარი
ფრანკულად ენაზე იყო, რომ მედავითნეს და მო-
სამსახურეებს არ გაეგონათ, მაგრამ მე კი მესმოდა
ყველაფერი და ვიცოდა... პანაშვილის შემდეგ მო-
ვიდა გამოსახოვან ჩემი საცოლო. იგი მაგრათ
დაეკონა ტურებით ჩემს გაცივებულ ხელებზედ და
დიდხანს, — თითქო ველარ მოაშორეს. ის ძალით
წიყვანეს და ურჩიეს, რომ თავი არ მოეკლა ნამე-
ტანის მწუხარებით. ჩემს გარშემო ისმოდა სიტყვე-
ბი: „ახ, როგორ სამწუხაროა, როგორ ყვარებია
საცოლავს თავისი საქმრო!“

— ოჰ, წუთი სოფელი! როგორი მატყუარი და
უიმედო ხარ! ან მეგობრების ამხანაგობა! ან საცო-
ლოს სიყვარული!

მე კი საცოდავს, უქკულოს გაგიყვებით მიყვარდა
იგი და მასში მეგონა მხოლოთ ვპოვებდი ჩემს ზე-
დნიერებას!..

პანაშვილის შემდეგ — როდესაც ყველანი წაი-
დნენ, მე გავიგონე კეთილი სტეფანეს ტირილი,
რომლის ცრემლებიც წვიმასავით ცვიოდნენ ჩემს
პირის სახეზე: „ვის დავიტოვე ჩემო მტრედლო, მო-
თქვამდა მოხუცი, ჩვენ რაღა გვეშველება უთქვენოთ.
გვედრებოდი ყოველთვის, რომ გაფრთხილებოდი,
მაგრამ შენ არც კი გაიგონებდი ხოლმე, დაგლუპეს
შენმა მეგობრებმა ღვინით და ყოველ გვარ გარყე-
ნილობით და ახლა იმათ შენი არაფერი ჯავრიც
არ აქვსთ. მხოლოთ ჩვენ — შენი მოსამსახურენი
დაგტირით თავზე“. ერთათ სტეფანესთან სტიროდნენ
ჩემი გლეხებიც ია — ის გუბერნიისანი, რომელნიც
პეტერბურგში ბილეთებით სსხოვრებდნენ. იმათ
გულის წმინდი უყვარდი, რადგან არ ვაიწროებდი
მათ მდგომარეობას და არ უმატებდი გადასახანს.
სინდისით ვამბობ, რომ ამას ვმვრებოდი დაუდევრო-
ბით. ფულები სამყოფი მქონდა არამც თუ რამე
ჩემ საქმიროებისათვის, არამედ ყოველ გვარ სისამაგ-
ლის შესრულებისათვის, რასაც კი ვისურვებდი.

აი, ამ გვარათ სად ვიპოვე გულწრფელი სიყ-



ვარული: უბრალო ხალხის—ყმების გულში! რასაკვირველია ეს გრძნობაც არ იყო უანგარო, მაგრამ იგი იყო მიუღღამოელი მაინც.

დადგა გრძელი და გაუთენებელი ღამე. მე დაუფდევ ყური დავიტინის კიბხვას, რომელიც ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. წინეთ არასოდეს ეს ღეთაბრივი წიგნი არ გადამიშლია.

შენდამი უფალო ხმა ვეო, ღმერთო ჩემო, ნუ დასდუმებ ჩემსკან, ნუ სადამე დასდუმებ ჩემსკან და ვეშხკავსო მათ, რომელნი მსაფლან მდღეამუს. ისმინე უფალო ხმა ვედრების ჩემისა, ვედრების ჩემის შენდამი აღმრბანსა სელთა ჩემისა ტაძრისა შენისა მამართ წმადისა. ნუ მიმზიდავ მე ცოდვილთა თანს და მოქედ თანს სიგრუისთა ნუ თანს წარმეყმედ მე, რომელნი იტყუანს მუხადობას მოყვისისას მათის თანს, ხოლო უკეთურებსა გულთა შინს მათისა... უფალო შემიწე ჩემდა და მფარველი ჩემდა მის უკუდა გული ჩემი და შექვეყნელ იქმნს და მსიარულ იქმნეს ხორცილი ჩემი და მე ნებისთა ჩემითა აღუარო მის. (ფს. კ. ხ. ა—ხ).

უფალო ნუ გულის წერამითა შენითა მამხილებ მე, ნურც რისხეთა შენითა მასწავლი მე... (ფს. ლ. ხ. ა—გ).

ღრმად მომხედა გულში დავითნის სიტყვები. გულში ვიზიარებდი ამ სიტყვებს და მხურვალეთ მოლოცვილობდი. მთელი წარსული ცხოვრება წარმომიდგა თვალწინ, როგორც გადაშლილი ტილო, დაფარული სხვა და-სხვა უწმინდურებითი. რალც უცნობი წმიდა მიზიდებდა თვინდებდა. მე მივეცი ჩემ თავს ალთქა შენანებისა და გასწორებისა, აღსთქმა დავსდე, რომ დანარჩენი ცხოვრება შემეწიოა ღვთის მსახურებისათვის, თუმცა ეხლა შემეწყალეებს და დამიფარავს ამ განსაცდელისაგან.

რა იქნება, თუ გადაწყვეტილია სიკოცხლისკენ გამოუბრუნებლობა? რა იქნება, რომ ეს ცოცხალმკვდრობა არ გათავად და ცოცხალ-მკვდარი დამმარხონ მიწაში? ახლა არ შემიძლია ყველაფერის გამოთქმა, რასაც მე ვგრძნობდი ამ საშინელ ღამეში. მხოლოდ მოგახსენებთ, რომ მეორე ღღეს სტუფანემ შენიშნა ჩემს თავზე ახალგაზდა ხუტუქ თამაში მთელი მუქი გაქალაქრებული თმა. ამის შემდეგ, როდესაც წარმოვიდგენდი ძილში იმ ღამეს, რომელიც კუბოში გავატარე, წამოვარდებოდი ხოლმე ზეზე, როგორც გიყი შემპარწუნებელის ღრიალით და ცივი ოვლით დაფარული. დადგა დილა და სული-ჩემი ტანჯვა კიდევ უფრო გაძლიერდა. მე უნდა

მომეხმინა ჩემი სასიკვდილო განჩინება. ჩემს ახლოს ამბობობდნენ: „ღღეს საღამოს ვავასვენოთ და ხეალკო დავასაფლაოთ ნეის მონასტერში!“ დილის—ზანაშვილზე, ვილამაც შენიშნა ოფლის ცვარი ჩემს პირის სახეზე და მაშინვე ექიმს აჩვენა. არა, სთქვა ექიმმა, ეს ცივი ორთქლი არის ოთახის სიმხურვალისა. მომიკიდა ხელი მაჯაში და სთქვა: „მაჯა აღარ უტყმს, ექვი არ არის, რომ ეს მკვდარია!“

გამოუთქმელი ტანჯვა—მკვლართ ოფელეობდე, ელოდებოდე კუბოს თავის დახურვას და დაქედვას და არ შეგეძლეს სიკოცხლის ნიშნების გამოჩენა, არც შეხედვით, არც ხმით და არც მოძრაობით. მე ვგრძნობდი, რომ ძილა ჩემი თან-და-თან სუსტდებოდა. აღარ არის იმედი! საშინარმა თავ განწირულებამ და უიმედობამ შემიპყრო. მაგრამ სწინდა, რომ ჩემი მფარველი ანგელოზი მიფარავდა. რალცა შენადანი გრძნობა გულს მითქვამდა წამეკითხა ლოცვები იმ საღმრთო სიტყვებით, რომელიც მესმოდა კუბოში წოლის დროს.

„ღმერთო ჩემო შემიწყაღე, მასტაეო რაღაც ვიღუ-ნებო... ცუდ ვარ, უწმიდური და მრავალ და დიდ აჩანს ცოდვანს ჩემნი, მაგრამ მოწყალება შენი განუხმედა. შემიწყაღე მე დემეთო! რამეთუ ძვანნი ჩემნი შეძრწუნებულ აჩანს. მამანიტე მე დრო, რათა განვიწმინდო სინდისი და გავსწარმო უწმინდური ჩემი ცხოვრება შენი ვარ სუყვენათ შემიწყაღე მე“.

ამ ნაირათ ელოცვილობდი გულ-წრფელათ დაბნედილი და შეწუხებული სიკვდილის მოლოდებით.

გვიარე კიდევ რამოდენიმე საათი ამ ტანჯვაში, მაგრამ მეტი აღარ მილოცნია გაცოცხლებამე. მე ვსთხოვდი ღმერთს წყარს სიკვდილს, რომ განვთავისუფლებულიყავი ამ გვარ საშინარ ტანჯვებიდან. თან-და-თან დამშვიდდა ჩემი სული ლოცვებით. ყველა ეს საოცრება სიკვდილის მოლოდებით მეჩვენებოდა მე ჩემ დასახველად ცუდი ცხოვრებისათვის. მე მთლათ მივინდევ ღმერთსა და ვსთხოვდი ცოდვების მიტევებას. ამ გვარ გრძნობაში ვიყავი საღამოს ზანაშვილის დროს, როდესაც მგლობლები გალობდნენ ჩემზე:

„სატი ვარ უსაზღროისა დაიებისა შენისა მეყუეო, რაღაც თუ მისიან მე წელულებანი შეტოვებთანი შემიწყაღე ქმნალი შენი, და განწმინდე მე სხიარებათა შენითა და სწაქდაისა მის მამულისა მკვადრობა კვადა მამანიტე მე“.

პანაშვილი გადავდა და ვილატებმა ამიდეს კუბოთი. ამ დროს როგორღაც შემამძრირეს და ჩემი გულიდან უნებურათ ამოისმა ოხვრა.—ერთმა უთხრა მეორეს: მიცვალებულმა თითქო ამოიოხრა? არაო, უთხრა მეორემ, შენ ეგრე მოგვეჩვენაო. ჩემი გული განთავისუფლდა რაღაცა შემავიწროებელ სენისაგან და მე ხმა მალა დაიკვირე. ყველა მოცინოდნენ ჩემთან. ექიმმა უცებ გამიხსნა მუნდირი, დამადვა გულზე ხელი და ვანკვირებით სთქვა: „გული სცემს, სუნთქავს, ეს ცოცხალია! აი ვასაკვირალი შემთხვევა!“ მაშინვე ვადამიტანეს საწოლ ოთახში, გამზადეს, ჩამაწინეს ქვეშაგებში და დამიწყეს ტანზე სმა რაღაც ნაირ სპირტებისა. ჩქარა თვალეზიკ გამოვახსილე და პირველად მაცხოვრის ხატი დავინახე, ის ხატი, რომელიც (როგორც შემდეგში შევიტყუე) საწიგნობელზე ესვენა ჩემი კუბოს თავით. ტრემლის ნაკადულები დღელსავით ვადამოდრიოდნენ თვალეზიდან, მაგრამ მაინც ვერ ამჩატებდნენ ჩემ გულს. საწოლის წინ იდგა სტეფანე და სტიროდა სიხარულით. ჩემთან იდგა ექიმი და მარტოვდა წყნარათ გყოფილიყავი. მან ჩემი მღვდმარეობა არ იცოდა. ექიმის შემწეობა ჩემთვის სრულიად საჭირო აღარ იყო.

ახალგაზრდა ჩემი ძალა თან-და-თან ძლიერდებოდა, მხოლოდ ამით მადლობელი ვიყავ ექიმისა, რომ მან ჩემი თხოვნით აღარავინ შემოუშვა ჩემთან, რომ არ შევეწუხებინე ავად-მყოფი.

სრულიად მარტო ვავატარე რამოდენიმე დღენი. არ დამინახავს არც ერთი სხვა პირი. სასიხარულოთ და სულიერ საზრდოთ მქონდა დავითნის საგალობრები. იქიდან ვსწავლობდი ღმერთის ცნობას, მის სიყვარულს და მის სამსახურს. მრავალი ნაცნობები მეხვეოდნენ კარებზე, რომ შეეხებათ გაცოცხლებულ მკვდრისათვის.

ყოველ დღეს მოიოდა ჩემი დანიშნული სასიამორო. ის, სჩანდა, სკდილობდა რომ არ გავეშვა ხელიდან სასარგებლო საჭრმო თავის ქალისა; მაგრამ მე არავის არ ვღებულობდი.

პირველი საქმე ჩემი მორჩენის შემდეგ, იყო წმიდა საიდუმლო ზიარების მიღება მომზადებით. სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი მღვდელი მ.

მ—ი იყო ჩემი მოძღვარი; იმან დამამკვიდრა ჩემს გარდაწყვეტილებაში, მიმეტრევბინა ყველაფერი, რაც კი ამ სოფელში მიიზიდავს კაცს და შევდგომოდი სულის საქმეს.

მაგრამ ჩქარა ვერ მოვრჩი ამ წუთის სოფლის საქმეებს. ყველაზე უწინ გავეჩქარე ჩემს საცოლოსთან და გამოუცხადე, რომ მე პატივი აღარ მაქვ მათ სიძუობისა და ღამაში ქალის ქშრობისა.

შემდეგ გამოვედი სამსახურიდან, ვანვათავისუფლე ია—ის გლეხები, გავცილე ყველაფერი, რაც რომ მომძრავი გამიძნდა და მივეცი კეთილი გზა აღებულ ფულებს. დანარჩენი მამულელი გადავეცი კანონიერ მემკვიდრეთა. ამ გვარ შრომაში გავიდა მთელი წელიწადი. ბოლოს ვანვათავისუფლდი ამ ქვეყნიურ მზრუნველობისგან და შეუდექე წყნარი ცხოვრების საყუდლის ძებნას.

რამოდენიმე მონასტრებში ვყოფილვარ და ეხლა ვღგვეარ იმ უდაბნოში, სადაც ვასრულებ ჩემ ცხოვრებას. ჩემი ერთგული სტეფანე ვანვათავისუფლე და ვაძლიე იმდენი ფული—რამდენიც საჭირო იყო მის საცხოვრებლად მზხუცებულობაში, მაგრამ არ გამომარაფა და თვალ-ცრემლიანმა მთხოვა, რომ არ გამეშვა. იმას უნდოდა ჩემთან მომკვდარიყო; მართლაც აქ ვატარა მთელი თავის სიცოცხლის დანარჩენი დღეები და მოკვდა ისე, რომ ბერობა არ მიუღია: „სად შემიძლია მე ცოდვილს ბერობა, ამბობდა იგი, ჩემზე ისიც საკმარისია, რომ ღირსი შევიქენი ღვთის მონებთან ცხოვრებისა!“

პატიეცემულმა მ. გ—მ დაასრულა თავისი მოთხრობა შემდეგი სიტყვებით: „ჩემზე თქვენ ხედავთ ღვთის ვასაკვირვალ მოწოდებას; რომ გამოიტაცა ჩემი სული ბნელის, ცოდვილი ძილისაგან ყოვლად-სახიერმა და კაცთ მოყვარე ღმერთმა, დამანახვა სიკვდილის მღვდმარეობა და მომაკვდავს ამიხილნა თვალნი, რათა არ დამეძინა საუკუნო სიკვდილით.“



რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამაშიძე, 30 მარტი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.